ნათია ლაპიაშვილი[1]

ევროკავშირის სამართლისა და მასთან დაკავშირებული დისციპლინების სწავლება საქართველოში: გამოყენებული სწავლების მეთოდები და მოსალოდნელი სწავლების შედეგები

აბსტრაქტი

სტატიაში მიმოხილულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტში გამოყენებული სწავლების ინოვაციური მეთოდები, და ასევე, შესაბამისი გამოსამუშავებელი პრაქტიკული უნარები და მისაღწევი სწავლის შედეგები, ავტორის მიერ ევროკავშირის სამართლისა და მასთან დაკავშირებული სხვა დისციპლინების სწავლებისას (საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი და ევროკავშირი; საერთაშორისო საჯარო სამართლისა და ევროკავშირის სამართლის თანაფარდობა; საერთაშორისო დავების გადაწყვეტა ევროკავშირში და სხვა). სტატიაში ხაზგასმულია, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა არ უნდა შემოიფარგლოს სწავლების ტრადიციული მიდგომებით და საჭიროა 21-ე საუკუნის რეალობების გათვალისწინება, რათა კურსდამთავრებულები აღიჭურვონ სათანადო უნარ-ჩვევებითა და ცოდნით. მეორეს მხრივ, სტატიაში, ასევე, აღნიშნულია, რომ სწავლების ბევრ თანამედროვე მეთოდს აქვს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და ეფუძნება ყველა დროის უდიდესი განმანათლებლების მემკვიდრეობას. ავტორი, ასევე, აღწერს მის პირად გამოცდილებასა და გამოწვევებს საქართველოში ევროკავშირის სამართლის სწავლებისას იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ჯერ არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ამასთან დაკავშირებით, ავტორი ავითარებს თავის მოსაზრებებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ბალანსის პოვნა ევროკავშირის სამართლის კლასიკურ იურიდიულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით სწავლებასა და მის ისეთ კონტექსტში სწავლებას შორის, რომელიც სასარგებლო იქნება ქართველი სტუდენტებისთვის, რათა მათ შეძლონ მიღებული ცოდნისა და უნარების წარმატებული გამოყენება მომავალ კარიერაში.

საკვანძო სიტყვები: სწავლების ინოვატორული მეთოდები, სწავლის შედეგები, ევროკავშირის სამართალი, თსუ ევროპისმცოდნეობის პროგრამები

შესავალი

21-ე საუკუნე გასაოცარი საუკუნეა, რადგან სათანადო ცოდნით აღჭურვილ ადამიანს უზარმაზარი შესაძლებლობების კარს უხსნის, თუმცა, 21-ე საუკუნე ამავდროულად რთული საუკუნეა პროფესიონალებს შორის კონკურენციის უკიდურესად მაღალი დონის გამო. აღნიშნულის გათვალისწინებით, თანამედროვე უმაღლესი განათლების მთავარი მიზანი უნდა იყოს სტუდენტების მომზადება კონკურენტული გლობალიზებული სამყაროსთვის, რათა დაეხმაროს მათ, გახდნენ საერთაშორისო დონის კომპეტენციის სპეციალისტები. მართლაც, გლობალიზაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხისა და საგანმანათლებლო სტრატეგიების ერთგვარი ტესტია. გარდა გლობალიზაციისა, რომელიც იწვევს მთელი მსოფლიოს პროფესიონალებს შორის კონკურენციას, ამ ეპოქის კიდევ ერთი

[1] პროფ. ნათია ლაპიაშვილი, სამართლის დოქტორი (ბაზელის უნივერსიტეტი, შვეიცარია), ჟენევის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი, რიგის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი, თსუ იურიდიული ფაკულტერის სამართლის პროგრამის მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, ევროპული კვლევების ინსტიტუტის პროგრამების (სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო) თანა-ხელმძღვანელი, გრენობლის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, ინგლისისა და უელსის სოლისიტორი, ელ-ფოსტა: natia_lapiashvili@yahoo.com

დიდი გამოწვევაა ხელოვნური ინტელექტის განვითარება, რომელიც საფრთხეს უქმნის გარკვეულ სამუშაოებს, რომლებსაც ადრე ადამიანები ასრულებდნენ, რადგან ხელოვნურმა ინტელექტმა შესაძლოა ბევრად უკეთ და უფრო სწრაფად შეძლოს მათი შესრულება. ამრიგად, თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სწავლების ტრადიციული მიდგომებით და სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს 21-ე საუკუნის რეალობა, რათა კურსდამთავრებულები აღჭურვოს საჭირო უნარ-ჩვევებითა და ცოდნით და ამ გზით უზრუნველყოს მათი წარმატებული კარიერა და უსაფრთხო მომავალი.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან ის მოითხოვს ლექტორის მაღალ პროფესიულ კომპეტენციას, პრაქტიკაზე ორიენტირებულ და ინტერაქტიულ მიდგომას, ინფორმაციის ეფექტურ გაზიარებას, საკუთარი საქმიანობის მუდმივ შეფასებას, უკუკავშირის მიღების მზაობას, სწავლების მეთოდების მუდმივ გაუმჯობესებასა და მოდერნიზაციას. როგორც დიდმა ამერიკელმა განათლების რეფორმატორმა ჯონ დიუიმ განმარტა: *„თუ ჩვენ ვასწავლით დღევანდელ სტუდენტებს ისე, როგორც გუშინ ვასწავლიდით, ჩვენ მათ მოვპარავთ ხვალინდელ დღეს“*. შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია უწყვეტი პროცესია. ეს არ ეხება მხოლოდ პროგრამების შინაარსს, არამედ სასწავლო მიდგომებსაც, რადგან გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგია ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კონკრეტული კურსის განმავლობაში გადაცემული ინფორმაცია. შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ განათლების საბოლოო მიზანი არის გონებრივი შესაძლებლობების განვითარება და მაღალი დონის ცნობიერების ჩამოყალიბება და არა მხოლოდ ფაქტების დამახსოვრება.

§1. ევროკავშირის სამართლისა და მასთან დაკავშირებული დისციპლინების სწავლება საქართველოში

ამ სტატიაში მიმოხილულია სწავლების ინოვაციური მიდგომები, რომლებიც გამოიყენება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტში, ასევე, შესაბამისი კურსების ფარგლებში განსავითარებელი უნარები და მისაღწევი სწავლის შედეგები. აღნიშნული სწავლების მეთოდები განხილული იქნება ავტორის პირადი გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც ევროპული კვლევების ინსტიტუტში ასწავლის ევროკავშირის სამართალს და სხვა დაკავშირებულ დისციპლინებს (საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი და ევროკავშირი; საერთაშორისო საჯარო სამართლისა და ევროკავშირის სამართალის თანაფარდობა; საერთაშორისო დავების გადაწყვეტა ევროკავშირში და სხვა. ჩამოთვლილი დისციპლინები ისწავლება ევროპული კვლევების ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამაზე). უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის სამართალი შედარებით ახალი კურსია საქართველოში და მას ქართულ უნივერსიტეტებში ჩვეულებრივ სთავაზობენ, როგორც არჩევით საგანს. თორმეტი წლის წინ, როდესაც ავტორმა პირველად დაიწყო ევროკავშირის სამართლის სწავლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სტუდენტებს შორის ევროკავშირის შესახებ არსებული ინფორმაცია გაცილებით შეზღუდული იყო. საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხი დღესდღეობით განსხვავებულია, ვინაიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში საკმაოდ ინტენსიური და ყოვლისმომცველი გახდა, დაწყებული სავაჭრო ურთიერთობებიდან სხვადასხვა პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში პარტნიორობამდე. ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე აქტიური სამართლებრივი ჰარმონიზაციის პროცესის გათვალისწინებით, ზედმეტია იმის თქმა, რომ ამჟამად ევროკავშირს აქვს ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამართლებრივი გავლენა საქართველოზე. გარდა ამისა, ევროკავშირის თანამედროვე სამართალი გარდაიქმნა გლობალურად ანგარიშგასაწევ სამართლებრივ სისტემად, რომელიც ძლიერ ზემოქმედებას ახდენს სხვა სამართლებრივ სისტემებზე. ევროკავშირის კანონმდებლობასთან სამართლებრივი დაახლოების ერთ-ერთი მაგალითია საქართველოს კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ. ამგვარი სამართლებრივი ტრანსპოზიციის სხვა მაგალითია ამჟამად მიმდინარე საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან.

ევროკავშირის სამართლისა და პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის სწავლება უაღრესად მნიშვნელოვანია ქართველი სტუდენტებისთვის ამ უნიკალურ ზენაციონალურ ორგანიზაციასთან ქვეყნის მჭიდრო ურთიერთობის გამო, რომელიც დაფუძნებულია საერთო ისტორიასა და ღირებულებებზე, როგორიცაა დემოკრატიისადმი ერთგულება, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ტო-

ლერანტობისა და კოსმოპოლიტიზმის ტრადიციები, რაც არის რწმენა იმისა, რომ ყველა იმსახურებს თანაბარ პატივისცემასა და დაფასებას და რომ ყველა ადამიანი მსოფლიო საზოგადოების წევრია. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს მე-19 საუკუნეში მოღვაწე ცნობილი ქართველი მწერლის, ვაჟა-ფშაველას სიტყვები: "*ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია.*" მართლაც, საერთო ღირებულებები, ურთიერთპატივისცემისა და თანაბარი პარტნიორობის სულისკვეთება არის საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობის მამოძრავებელი ძალა. სწორედ ამიტომ, ევროკავშირის ძირითადი ფასეულობების ახსნასა და ზოგიერთი ცრუ მითის გაქარწლებას მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია ევროკავშირის სამართლებრივი კურსების სწავლებისას, რათა გაიზარდოს სტუდენტების ინტერესი და მოტივაცია მოცემული დისციპლინების შესასწავლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის სამართალი არის საკმაოდ რთული საგანი, გაჯერებული ამ ორგანიზაციის მრავალდონიანი გადაწყვეტილების მიღებისა და კომპლექსური კანონშემოქმედებითი პროცესებით, რომელიც ვითარდება რამდენიმე – შიდაორგანიზაციულ/სუპრანაციონალურ, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის სამართალი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სამართლებრივი სისტემა, ევროკავშირის პოლიტიკური შესაძლებლობებისა და გლობალური აქტორის ფუნქციის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის საერთაშორისო მისიისა და ბიზნეს ასპექტების გასაგებად ევროკავშირის სამართლის შესწავლა მოითხოვს გარკვეულ დონეზე პოლიტიკური მეცნიერებებისა და ეკონომიკის პრინციპების გააზრებას. სწორედ, აქ იკვეთება თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტში შემოთავაზებული ინტერდისციპლინარული პროგრამების მნიშვნელობა, რომელიც ევროკავშირს სხვადასხვა კუთხით შეისწავლის და ამზადებს ევროკავშირის შესახებ ყოვლისმომცველი ცოდნით აღჭურვილ, ევროპასა და საქართველოში მოთხოვნად სპეციალისტებს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამის მაგისტრატურის სტუდენტებს ბაკალავრიატის დონეზე სხვადასხვა საგანმანათლებლო კვალიფიკაცია აქვთ, ევროკავშირის სამართლის შესწავლაში მათ ხშირად ეხმარებათ წინარე ცოდნა ეკონომიკაში, პოლიტიკურ მეცნიერებებსა და სხვა სფეროებში, ასევე, ევროკავშირის სამართლის კურსი უღრმავებთ საერთაშორისო სამართალის ან საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ არსებულ ცოდნას. ამის გათვალისწინებით, ევროკავშირის სამართლისა და პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტების სისტემურად მოსაცავად რეკომენდირებულია სწავლების ტრადიციული და არატრადიციული მეთოდების ნაზავის გამოყენება, რომლებსაც მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტები იყენებენ და რომლებიც ეფუძნება აკადემიურ საჭიროებებსა და შრომის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს. მეორეს მხრივ, ბალანსი უნდა იქნას დაცული სტუდენტების საჭირო პროფესიული თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვას შორის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემდეგ ნაწილებში სტატია განიხილავს სწავლების მეთოდებს, რომლებსაც ავტორი იყენებს ევროკავშირის სამართლებრივ მოდულში კომბინირებულად (ე.წ. „შერეული" სწავლების მოდელი) ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად.

§2. ელექტრონული სწავლება

ჩვენ ვცხოვრობთ ინტერნაციონალიზებულ სამყაროში და ცვლილებების დინამიურ ეპოქაში, სადაც არაფერია სტაბილური. ეს განსაკუთრებით ეხება ევროკავშირის სამართლისა და ორგანიზაციის სპეციფიკას, რომელმაც დაარსების დღიდან მრავალი ტრანსფორმაცია განიცადა. Brexit-ის სამართლებრივი შედეგები არის ერთ-ერთი იმ რამდენიმე მაგალითიდან, რომელიც ბოლო პერიოდში მსოფლიოს უნივერსიტეტებში ევროკავშირის სამართლის კურსების სილაბუსების განუყოფელი ნაწილი გახდა. ჩვენ Brexit-ის მთელი პროცესის ცოცხალი მოწმენი გავხდით, მოვლენის, რომლის დადგომაც თავდაპირველად თითქმის წარმოუდგენელი ჩანდა. ევროკავშირის სამართლის კურსის სწავლების ფარგლებში მოცემული მოვლენების კვლევისა და თვალყურის დევნებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ელექტრონული წყაროების გამოყენება, მანამდეც კი, სანამ Brexit-ის ფენომენი ოფიციალურ ადგილს დაიკავებდა ევროკავშირის სამართლის სახელმძღვანელოებში. ამგვარად, 21-ე საუკუნის რეალობებმა დღევანდელი საგანმანათლებლო მიდგომების გადახედვა გამოიწვია და აჩვენა სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის აუცილებლობა, მათ შორის, როგორიცაა ელექტრონული სწავლება (e-learning).

ელექტრონული სწავლება უნდა განვასხვავოთ დისტანციური სწავლებისგან, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური გახდა COVID-19 პანდემიის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინები ზოგჯერ

სინონიმურად გამოიყენება, დისტანციური სწავლება უფრო მეტად არის სწავლების ტექნიკა სხვადასხვა ტექნიკური სისტემებით, ვიდრე დამოუკიდებელი სწავლების მეთოდი; ამდენად, დისტანციური სწავლება შეიძლება ჩაითვალოს ელექტრონული სწავლების ერთ-ერთ ინსტრუმენტად, ხოლო ელექტრონული სწავლება ავტომატურად არ გულისხმობს დისტანციის არსებობას.[2] ელექტრონული სწავლება გულისხმობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას სწავლის მხარდასაჭერად, რომელიც მოიცავს სისტემების ფართო სპექტრს, სტუდენტების მიერ ვებ-რესურსების კვლევის, კურსის მასალებსა და ლექციების ჩანაწერებზე ონლაინ წვდომის ჩათვლით.[3] ელექტრონულ წყაროებზე დაყრდნობით კვლევების შედეგად შეძენილი უნარები უდავოდ ღირებულია სტუდენტთა მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კვლევების ინსტიტუტს აქვს ელექტრონული სწავლების დანერგვის ხანგრძლივი ტრადიციები, მათ შორის, მის ელექტრონულ პლატფორმაზე ხელმისაწვდომი წინასწარ ჩაწერილი ლექციების სახით, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მოუსმინონ მათ მოგვიანებით, მაგალითად, თუ ვერ შეძლებენ ლექციაზე დაწრებას, რაც მთლიანობაში ქმნის მოქნილ სასწავლო პროცესს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც მუშაობენ სრულ განაკვეთზე. ასევე, დისტანციური სწავლებისა და ელექტრონული სწავლების კიდევ ერთი უპირატესობა არის ის, რომ შესაძლებელია უფრო ფართო გეოგრაფიული არეალის დაფარვა როგორც უნივერსიტეტის ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მაგალითად, ევროპული კვლევების ინსტიტუტში COVID-19 პანდემიის დროს ზოგიერთი სტუდენტი ონლაინ ლექციებს ესწრებოდა ევროპის, აზიის, აფრიკის, ლათინური და ჩრდილოეთ ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებიდან. გარდა ამისა, ელექტრონული სწავლების მეთოდის პრაქტიკული გამოყენების თვალსაჩინოებისთვის, ევროპული კვლევების ინსტიტუტის პროფესორები რეგულარულად ანახლებენ თავიანთ სილაბუსს, რაც მოიცავს რეკომენდებულ ელექტრონულ წყაროებს, რომლებიც შემოთავაზებულია კონკრეტული სასემინარო თემების მოსამზადებლად, კვლევების ჩასატარებლად, ინდივიდუალური პრეზენტაციებისა და დავალებების მოსამზადებლად. ელექტრონული სწავლებისას კვლევითი პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი პროფესიული კარიერისთვის მოსამზადებლად, რადგან ისინი მიზნად ისახავს სტუდენტების ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორიცაა ეფექტური მოკვლევის ჩატარება, ხარისხიანი ელექტრონული წყაროების ამოცნობა, ობიექტური ფაქტების დასადგენად ინფორმაციის რამდენიმე წყაროდან გადამოწმება, საინტერესო და ინოვაციური იდეების აღმოჩენა, რთულ კვლევით კითხვებზე პასუხების პოვნა და ამ გზით მათთვის საინტერესო ნებისმიერ თემაზე ცოდნის გაღრმავება. აღსანიშნავია, რომ პანდემიის დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციები ძირითადად დისტანციურად ტარდებოდა და ამ სტატიის ავტორის აზრით, ამას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია არც ლექციების ხარისხზე და არც აუდიტორიასთან აქტიური ინტერაქციის შესაძლებლობაზე.

§3. ინტერაქტიული სწავლება; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი

ეფექტური სწავლების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია არის ე.წ. „სწავლა კეთებით“ (“Learning by doing”), რომელიც თავდაპირველად შემუშავებული იქნა ამერიკელი ფილოსოფოსისა და განმანათლებლის, ჯონ დიუის მიერ და აქცენტს აკეთებს მოსწავლეების გარემო პირობებთან აქტიურ ადაპტაციაზე. ეს მიდგომა მოგვიანებით საფუძვლად დაედო სწავლების თანამედროვე ექსპერიმენტულ მოდელებს, რომლებიც მიზნად ისახავს პრაგმატულ სწავლებას. შედეგად, დღესდღეობით მრავალი თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულება მთელ მსოფლიოში ეყრდნობა ასეთ მეთოდებს, რომლებიც მიზნად ისახავენ მიაღწიონ სტუდენტის ისეთი ცოდნით აღჭურვას, რომელიც მას გაჰყვება „სიცოცხლის ბოლომდე“ („Lifelong learning“). მეორეს მხრივ, სტატიის ავტორის აზრით, სწავლების ასეთ თანამედროვე მეთოდებს საფუძვლად უდევს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, რომლებიც მემკვიდრეობით გადმოგვეცა ყველა დროის უდიდესი განმანათლებლებისგან. ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია ჩინელი ფილოსოფოსისა და მასწავლებლის, კონფუცის ცნობილი ფრაზა: *„მესმის და მავიწყდება; ვხედავ და მახსოვს; ვაკეთებ და ვიგებ”*, რომელიც დღესაც აქტუალურია პრაგმატული განათლების კონტექსტში.

---

[2] EU TEMPUS Project Training the Trainers Handbook - INOTLES, 2016, p. 32, available at http://www.inotles.eu/sites/inotles/files/TEMPUS%20Handbook_0.pdf. ასევე, იხილეთ Natia Lapiashvili, Implementing innovative teaching methods in European Union Law modules, published as a working paper in EU TEMPUS project Publication “Innovating Teaching and Learning of European Studies” (INOTLES) Working Paper Series, No.5, 2017 as well as published in Georgian Journal for European Studies, No. 2-3, 2016-2017, pp. 28-36, available at www.ies.tsu.edu.ge.

[3] E-learning in Tertiary Education, OECD Policy Brief, December 2005, available at https://www.oecd.org/education/ceri/35991871.pdf.

ერთის მხრივ, პროფესორისა და სტუდენტის, და მეორე მხრივ, თავად სტუდენტებს შორის ურთიერთობა ლექცია-სემინარების დროს არის მაღალი დონის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტი და თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტში შემოთავაზებული კურსების ქვაკუთხედი. სწავლების ინტერაქტიული მეთოდი მოიცავს სხვადასხვა თემის ირგვლივ ჯგუფურ დისკუსიებს, გუნდურ სწავლას, დებატებს, აზრთა ჭიდილს („ბრეინსტორმინგს"), პრობლემური საკითხების გამოკვლევას, ცნობილი სასამართლო პრეცედენტების მიმოხილვას, სიმულაციურ თამაშებს, ჰიპოთეტური დავებისა და სიტუაციების ანალიზს, მოდერაციას, ვიზუალური და აუდიო წყაროების გამოყენებას და მსგავს აქტივობებს. აღნიშნული კომპონენტები მიზნად ისახავს სტუდენტების მაქსიმალური პოტენციალის რეალიზებას, სფეროსადმი ღრმა ინტერესის გაღვივებასა და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვას. გარდა ამისა, წახალისებულია სტუდენტების ინიციატივები, ავტონომია და დამოუკიდებელი მუშაობა მათი პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბების, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისა და მათი პერსონალური და ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესების მიზნით. ამგვარ აქტივობებში სტუდენტების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა, მაშინაც კი, როდესაც მათ არ გააჩნიათ წინარე ცოდნა და/ან გამოცდილება განსახილველი საკითხების შესახებ, არის ევროპული კვლევების ინსტიტუტის რეკომენდირებული პოლიტიკა, განსაკუთრებით მისი პროგრამების ინტერდისციპლინარული ხასიათის გათვალისწინებით, რომლებიც ღიაა სხვადასხვა ფაკულტეტების სტუდენტებისთვის. აქცენტი კეთდება ღრმა გაგებისა და ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარებაზე, განსხვავებით ფაქტების უბრალო დამახსოვრებისაგან, და ასევე, პროფესორ-სტუდენტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობაზე, რაც ქმნის მეგობრულ გარემოს და ხელს უწყობს სწავლების გრძელვადიან შედეგებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ინტერაქტიული სწავლების მეთოდი გულისხმობს ორმხრივ კომუნიკაციას - იქნება ეს პროფესორებსა და სტუდენტებს შორის თუ სტუდენტებს შორის, მაგალითად, გუნდურ მუშაობას საერთო დავალებებზე ან ინდივიდუალური პრეზენტაციების დროს ერთმანეთის კითხვებზე პასუხის გაცემას. ყველა ეს ტექნიკა საბოლოო ჯამში ემსახურება ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარების, რადგან როგორც კონფუცი აღნიშნავდა, *„სწავღა ფიქრის გარეშე უსარგებღოა და ფიქრი სწავღის გარეშე სახიფათოა"*. სწორედ, აქ იკვეთება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის (PBL) მნიშვნელობა, რომელიც მიზნად ისახავს ყველა ამ მიზნის ერთდროულად მიღწევას - თეორიული ცოდნის პრაქტიკულ პროფესიულ შესაძლებლობებად გარდაქმნას და ამავდროულად ლოგიკური მსჯელობის უნარის განვითარებას. PBL მეთოდის ყველაზე ადრეული ფორმა 1969 წელს კანადის მაკმასტერის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ჰოვარდ ბაროუსმა და მისმა კოლეგებმა შეიმუშავეს, საიდანაც იგი მთელი მსოფლიოს საშუალო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გავრცელდა. PBL, როგორც ინტერაქტიული, რაციონალური და კაზუსებზე დაფუძნებული სასწავლო მეთოდი მიზნად ისახავს „ღრმა სასწავლო შედეგების" ("Deep learning") მიღწევას, რადგან თავად მოსწავლეები (და არა პროფესორები) აიდენტიფიცირებენ სასწავლო ამოცანებს და თავადვე აფასებენ საკუთარი სასწავლო პროცესების წარმატებასა და ნაკლოვანებებს; შედეგად, მიჩნეულია, რომ ამგვარი მიდგომა გრძელვადიან პერსპექტივაში სტუდენტებს ეხმარება დამოუკიდებლად მუშაობის უნარის გამომუშავებაში.[4] პასიური სწავლისგან განსხვავებით, სადაც სტუდენტი აღიქმება საგანმანათლებლო საქმიანობის ობიექტად, რაც ხშირად გულისხმობს ლექტორის მიერ ლექცია-მონოლოგების ფორმას და სტუდენტთა მკაცრ ვალდებულებებს, მოამზადონ დავალებული მასალები, PBL-ის შემთხვევაში სტუდენტი ხდება სასწავლო პროცესის სუბიექტი, რაც გამოიხატება პროფესორთან, მოდერატორთან და სხვა სტუდენტებთან დისკუსიაში შესვლით და სხვადასხვა კვლევითი, შემოქმედებითი და პრობლემური ამოცანების ინდივიდუალურად, წყვილებში ან/და ჯგუფებში შესრულებით. მართლაც, იმისთვის, რომ სწავლება იყოს სტუდენტზე ორიენტირებული, სტუდენტს უნდა გააჩნდეს ხმის უფლება და ძალაუფლებამ ლექტორიდან სტუდენტებზე უნდა გადაინაცვლოს.[5] ამასთან დაკავშირებით, ევროკავშირის სამართლის მოდულის კურსების ფარგლებში, ერთი მხრივ, სტუდენტებმა უნდა წაიკითხონ აკადემიური ლიტერატურა ინდივიდუალურად, რათა გამოავლინონ რეალური პრობლემები და მოახდინონ შესაბამისი სამართლებრივი აქტების, პოლიტიკისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ხოლო მეორე მხრივ, რეკომენდირებულია ჯგუფური დისკუსიების ინიცირება საკუთარი დასკვნების საფუძველზე, რათა ერთობლივად გადაჭრან იდენტიფიცირებული

[4] EU TEMPUS Project Training the Trainers Handbook - INOTLES, 2016, pp. 6-7, available at http://www.inotles.eu/sites/inotles/files/TEMPUS%20Handbook_0.pdf.

[5] Ian Scott, The Learning Outcome in Higher Education: Time to think again? Worcester Journal of Learning and Teaching, Issue 5, 2011, p. 5.

პრობლემები. ამგვარად, თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლება, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა და პროცესში ლიდერად ყოფნის შეგრძნება, განსხვავებით პროფესორის მიმართ სუბორდინაციული დამოკიდებულებისა, მნიშვნელოვნად ზრდის სწავლის მოტივაციასა და პროდუქტიულობას.

§4. სიმულაციები

ამ სტატიის ავტორს სტუდენტობისას და მოგვიანებით უკვე მწვრთნელის რანგში თავად აქვს რა მონაწილეობა მიღებული სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო იმიტირებულ სასამართლო და საარბიტრაჟო პროცესებში (ცნობილი როგორც Moot Court/ Mock Court), სიმულაციურ მეთოდს პრაქტიკული ცოდნისა და უნარების შეძენის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ გზად მიიჩნევს. ევროკავშირის სამართლისა და სხვა დაკავშირებული სფეროების სიმულაციებით სწავლებისას, როგორც წესი, სტუდენტებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ თავიანთი წერილობითი და ზეპირი არგუმენტები რეალისტურ სამართლებრივ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც ხშირად დაფუძნებულია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, და ასევე, შესაძლებელია დაევალოთ, წინასწარ განსაზღვრონ ჰიპოთეტური დავის სამართლებრივი შედეგი კურსის განმავლობაში განხილულ თემებზე დაყრდნობით. როგორც წესი, სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ თითოეული მხარე — მოსარჩელე და მოპასუხე, და არგუმენტირებულად დაამტკიცონ თავიანთი პოზიცია სხვადასხვა სამართლებრივი წყაროების საფუძველზე მოსამართლეთა კოლეგიის წინაშე, რომლებსაც, ასევე, თამაშობს სტუდენტების სხვა ჯგუფი და რომლებიც აცხადებენ მიღებულ გადაწყვეტილებას. გარდა იმისა, რომ ეს სავარჯიშო საკმაოდ სახალისოა, იმიტირებული სასამართლოების გზით სწავლება ხასიათდება თეორიული და პრაქტიკული სწავლების უნიკალური ბალანსით და მართლაც შესანიშნავი ინსტრუმენტია „სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“ („Lifelong learning“) მიზნების მისაღწევად. სიმულაციების შედეგად სტუდენტები ღრმად იაზრებენ კომპლექსურ სამართლებრივ საკითხებს და უვითარდებათ უნარების ფართო სპექტრი. საინტერესოა, რომ ზოგიერთმა სტუდენტმა, რომელთაც არ ჰქონდათ წინარე სამართლებრივი განათლება, ამ სტატიის ავტორთან აღნიშნა, რომ მათ გაუღვივდათ ძლიერი ინტერესი სამართლის სფეროს მიმართ, სწორედ, იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობის გამო.

§5. სწავლების შედეგები და შეფასების კრიტერიუმები

ბოლოსკენ, უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილი სწავლების მეთოდები გამიზნულია კონკრეტული სასწავლო შედეგების მისაღწევად, ანუ რა უნდა იცოდეს სტუდენტმა ან/და რა პრაქტიკული უნარ-ჩვევები უნდა შეიძინოს მოცემული კურსის გავლის შემდეგ. როგორც მე-17 საუკუნის ცნობილმა ქართველმა მწერალმა და განმანათლებელმა სულხან-საბა ორბელიანმა აღნიშნა, *“საქმე [უნდა იყოს] სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი“*. შესაბამისად, სწავლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები ურთიერთდაკავშირებულია, რადგან სწავლა უნდა იყოს შედეგზე და პრაგმატული ცოდნის შეძენაზე ორიენტირებული. სასწავლო მოდულების მომზადებისას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმებისთვის აუცილებელ უნარებს, რადგან სტუდენტების წარმატება შრომით ბაზარზე არის ისეთივე მნიშვნელოვანი შედეგი, როგორც სასწავლო გეგმებში ჩამოთვლილი ნებისმიერი სხვა შედეგი.[6] ამ მიზეზით, უახლეს პრეცედენტულ სამართალზე მუშაობა, სიმულაციების დროს სამართლებრივი არგუმენტების მომზადება, სამართლებრივი კვლევები და აკადემიური წერა წარმოადგენს ევროპული კვლევების ინსტიტუტში ევროკავშირის სამართლისა და სხვა მასთან დაკავშირებული კურსების სწავლების უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რაც ავითარებს ისეთ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რომლებიც საჭიროა ყველა პრაქტიკოსი იურისტისთვის ან ნებისმიერი პირისათვის, რომელიც მუშაობს სამართალთან დაკავშირებულ სფეროში.

ზოგადად, სწავლების შედეგები გულისხმობს კონკრეტული კურსის დამთავრების შემდგომ დამდგარ პიროვნულ ცვლილებებსა და სარგებელს, რომელიც იზომება შეძენილი უნარებითა და მიღწევებით.[7] სწავლების შედეგები შეიძლება დაიყოს კოგნიტურ და არაკოგნიტურ სწავლების შედეგებად, საიდანაც პირველი ეხება სპეციფიკური სფეროს შესახებ ცოდნის შეძენას, ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას, ხოლო არაკოგნიტური შედეგები

[6] Heather Fry, Steve Ketteridge, Stephanie Marshall, A Handbook for Teaching and Learning in Higher Education, Enhancing Academic Practice, Routledge publishing, third edition, 2009, p. 100.

[7] Deborah Nusche, Assessment of Learning Outcomes in Higher Education: A Comparative Review of Selected Practices - OECD Education Working Paper No. 15, 2008, p. 7, available at https://www.oecd.org/australia/40256023.pdf.

ეხება ცვლილებებს წარმოდგენებში ან გარკვეული ღირებულებების შეძენას.[8] ემოციური ან ღირებულებებზე დაფუძნებული განათლების მნიშვნელობაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს ძველი ბერძენი ფილოსოფოსისა და განმანათლებლის, არისტოტელეს სიტყვები: *„ბონების განათღება გუღის განათღების გახეშე საეhთოდ ახ ახის განათღება“*. ამის გათვალისწინებით, გარდა იმისა, რომ თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტში სტუდენტები იძენენ ღრმა და სისტემატურ ცოდნას ევროკავშირის სამართლისა და ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ, საკმაოდ დიდი დრო ეთმობა ევროკავშირის ფუნდამენტური ღირებულებების მიმოხილვას, როგორც ზემოთაც აღინიშნა.

გარდა ზემოთქმულისა, ევროკავშირის სამართლის კურსის სწავლების სხვა ძირითადი სასწავლო შედეგები მოიცავს შემდეგი საკითხების ღრმა ცოდნას: სტუდენტების მიერ ევროკავშირის სამართლის ძირითადი სფეროების, მათ შორის, მისი კონსტიტუციური პრინციპების, შიდა ბაზრისა და და ოთხი თავისუფლების ძირითადი აპექტების სიღრმისეულად შესწავლას; ევროკავშირის სამართლებრივი სისტემის, როგორც ავტონომიური სამართლებრივი წესრიგის ბუნების გააზრებას; ევროკავშირის სამართლის ისტორიისა და ევოლუციის ანალიზს; ევროკავშირის სამართლებრივ სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების გაცნობიერებას; ევროკავშირის კომპეტენციების, მისი ინსტიტუტებისა და ევროკავშირის მმართველობაში „შეკავებისა და გაწონასწორების“ პრინციპთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიცირებას; საერთაშორისო საჯარო სამართლისა და ევროკავშირის სამართლის, ასევე, ევროკავშირის სამართალისა და წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობას თანაფარდობის კვლევის ასპექტებს; ევროკავშირის სამართლის ეფექტურ აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების ათვისება-გააზრების თავისებურებებს, და სხვა კომპლექსურ სამართლებრივ საკითხებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოწინავე საგანმანათლებლო სისტემა უნდა აერთიანებდეს სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვან კომპონენტებს, რომლებიც შექმნილია მაღალი დონის განათლების მხარდასაჭერად.[9] გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სწავლების შედეგების დაკავშირება შეფასების კრიტერიუმებთან და პრაქტიკულ უნარებთან, რათა მიღწეულ იქნას სასწავლო სტრატეგიის თანმიმდევრულობა და ეფექტურობა.[10] ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების შედეგების მისაღწევად და შეფასების მიზნებისათვის, განსახილველი კურსების განმავლობაში სტუდენტები უნდა გაეცნონ შემოთავაზებულ აკადემიურ მასალებს, სამართლებრივ აქტებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს შესაბამისი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით. სტუდენტებმა, ასევე, უნდა შეასრულონ ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებები, მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში, დებატებში, პრობლემური საკითხების ანალიზში, პრეცედენტული სამართლის შესწავლაში და განახორციელონ სხვა საგანმანათლებლო აქტივობები. საბოლოო შეფასება დაფუძნებულია სხვადასხვა კომპონენტზე, როგორიცაა ხსენებულ სასწავლო აქტივობებსა და სიმულაციებში, ასევე, სემინარების დროს ინდივიდუალურად შეტანილ წვლილზე, მომზადებულ პრეზენტაციებსა და წერილობით გამოცდებზე. თითოეული ჩამოთვლილი კომპონენტის შეფასების მიზნით, სტუდენტებმა უნდა მოახდინონ კურსის განმავლობაში შეძენილი ცოდნის დემონსტრირება და მათი პრაქტიკულად გამოყენება ჰიპოთეტურ სიტუაციებში. კერძოდ, მათ უნდა შეეძლოთ კონკრეტული სამართლებრივი პრობლემების სწორი და ამომწურავი ანალიზი, ყველა შესაბამისი საკითხისა და ფაქტის იდენტიფიცირება, იურიდიული ტერმინოლოგიის სწორად გამოყენება, თავიანთი მოსაზრებების მხარდასაჭერად მკაფიო და დამაჯერებელი არგუმენტაციის ლოგიკური, თანმიმდევრული და სტრუქტურირებული სახით წარმოდგენა. რაც შეეხება შეძენილ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, სტუდენტებმა უნდა გამოავლინონ კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის ანალიტიკური შესაძლებლობები შესაბამის სამართლებრივ წყაროებზე დაყრდნობით. სტუდენტებმა, ასევე, უნდა გამოიყენონ შედარებითი სამართლებრივი კვლევის უნარები ევროკავშირის, მისი წევრი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო საჯარო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სტუდენტებმა უნდა შეძლონ ევროკავშირის სამართლისა და შიდა ბაზრის თანამედროვე ფუნქციონირების კონტექსტუალიზაცია ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით, ასევე, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და მეცნიერებ-მკვლევართა არგუმენტების კრიტი-

[8] Ibid, p. 9, 10, citing also Richard J. Shavelson and Leta Huang, Responding Responsibly to the Frenzy to Assess Learning in Higher Education, Change, 2003, Vol.35, No.1, p. 13; Peter T. Ewell, Applying Learning Outcomes Concepts to Higher Education: An Overview, 2005, prepared for the University Grants Committee, available at http://www.hku.hk/caut/seminar/download/OBA_1st_report.pdf.

[9] John Biggs, Aligning Teaching and Assessing to Course Objectives, Teaching and Learning in Higher Education: New Trends and Innovations, University of Aveiro, 2003, p.1.

[10] David Gosling, Jenny Moon, How to Use Learning Outcomes and Assessment Criteria, SEEC Office, third edition, 2002, p. 11.

კული ანალიზი. დასკვნის სახით, აღწერილი სწავლების მეთოდებისა და შეფასების კრიტერიუმების გამოყენების მიზანია ისეთი სასწავლო შედეგების მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ შესაბამისი სამართლებრივი ცნებების ღრმად გააზრებას და შედარებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას, რაც მათ მომავალში პრაქტიკული სამართლებრივი ამოცანების გადაჭრის საშუალებას მისცემს.

დასკვნა

ამ სტატიით ავტორი მიზნად ისახავდა საქართველოში ევროკავშირის სამართლისა და მასთან დაკავშირებული დისციპლინების სწავლებისას გამოყენებული სასწავლო მეთოდებისა და სწავლების შედეგების აღწერის გზით საკუთარი გამოცდილებისა და გამოწვევების გაზიარებას. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ჯერ არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ავტორის აზრით, საჭიროა გარკვეული ბალანსის დაცვა ევროკავშირის სამართლის ევროპულ უნივერსიტეტებში აღიარებულ, კლასიკურ იურიდიულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით და მის იმდაგვარად სწავლებას შორის, რომელიც სასარგებლო იქნება ქართველი სტუდენტების მომავალი კარიერისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კვლევების ინსტიტუტის სტუდენტები პროგრამის დამთავრების შემდგომ, როგორც წესი, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ევროკავშირის, მისი რეგულაციების, ინსტიტუტებისა და მისი მოქალაქეობის უპირატესობების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, რადგან ბევრი მათგანი მოგვიანებით საქმდება ისეთ ორგანიზაციებში ან სახელმწიფო ორგანოებში, რომლებიც მუშაობენ ევროკავშირის სამართლისა და პოლიტიკის საკითხებზე. შეიძლება დავასკვნათ, რომ თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ერთ-ერთი მიზანია ქართველი ხალხის ევროპული მისწრაფებებისა და ქვეყანაში პოზიტიური ცვლილებების ხელშეწყობა, რადგან ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებელი იმავდროულად სოციალური დაწესებულებაა, სადაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სოციალური რეფორმების განხორციელებას. ამრიგად, მაღალი ხარისხის საგანათლებლო დაწესებულებამ უნდა განავითაროს არა მხოლოდ პიროვნული, არამედ სოციალური თვისებებიც და აღზარდონ კურსდამთავრებულები, რომლებიც შეძლებენ, დაისახონ ამბიციური მიზნები და იმოქმედონ მათი რეალიზაციის მიმართულებით. შესაბამისად, თანამედროვე უნივერსიტეტებში სწავლების მეთოდები ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ სტუდენტები გახდნენ პრობლემის გადამჭრელი, გადაწყვეტილების მიმღები და ზოგადად პროაქტიული მოქალაქეები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან გამოწვევებს შორის ნავიგაციისა და რთული ამოცანების გადაჭრის უნარებით. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით განათლება აღარ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ სილაბუსებით განსაზღვრული მასალებით სწავლებას, არამედ ინოვაციური და კრეატიული იდეები უფრო მეტად უნდა ფასდებოდეს, ვიდრე უბრალოდ სახელმძღვანელოებში მოცემული ინფორმაციის დამახსოვრება. ამის საპირისპიროდ, თანამედროვე უნივერსიტეტების მნიშვნელოვანი როლი არის პრაქტიკული ადაპტაციური უნარების განვითარება, რომლებიც სტუდენტებს ემახსოვრებათ გამოცდების ჩაბარების შემდგომაც და რომლებიც საჭიროა პროფესიული გარემოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ზემოაღწერილი სწავლების თანამედროვე მეთოდები, სწორედ, ამ მიზანს ემსახურება - გადალახოს მანძილი თეორიულ სწავლებასა და პრაქტიკას შორის, უზრუნველყოს გონებრივი შესაძლებლობების გახსნა სხვადასხვა გამოწვევებისთვის და ადაპტირება იმ სწრაფად ცვალებადი სამყაროს რეალობასთან, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.